განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

22/05/2018

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**201951637**
დაწესებულების სახე	**უნივერსიტეტი**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**
განათლების საფეხური	**მაგისტრატურა**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	**ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში - 020307**
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიკა გარსევანიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კურსდამათავრებულებს მისცეს სიღრმისეული ცოდნა: გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესახებ; საერთაშორისო კომპანიების სარესურსო პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების მიმართულებით; საერთაშორისო ბიზნესის შიდა და გარე გარემოს ელემენტების ეფექტიანი გამოყენების სფეროში; საერთაშორისო ბიზნეს–რისკების შეფასების, სწორი მენეჯერული გადაწყვეტილების მიღებისა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების სფეროში. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს. პროგრამა შედგება: თეორიული, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტებისაგან, რომლებიც წარმოდეგნილია სავალდებულო (105 კრედიტი) და თავისუფალი კომპონენტების (15 კრედიტი) სახით. პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია პრაქტიკა 15 კრედიტის მოცულობით და სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტის მოცულობით. სამაგისტრო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია გულისხმობს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფენ მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების მიღწევას და კვლევის უნარის ჩამოყალიბებას. სწავლისას გამოყენებული მეთოდები მაქსიმალურადაა მიმართული მაგისტრანტის კვლევის უნარის ჩამოყალიბებაზე. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. სტუდენტების ცოდნის შეფასებისთვის გამოიყენება როგორც ზეპირი ასევე წერითი (ტესტი, ქეისების განხილვა და ანალიზი, ღია კითხვები, ესსე, და ა.შ) გამოკითხვა. ცალკეული სასწავლო კურსები შეიძლება ითვალისწინებდეს საშინაო დავალების ან ბიზნეს–პროექტების მომზადებას და მის პრეზენტაციას.

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ პირველი აკრედიტაცია მიიღო 2012 წელს, შესაბამისად პროგრამა 2012 წლიდან ფუნქციონირებს და ყავს კურსდამთავრებულები, რომელთა დიდი ნაწილი დასაქმებულია. პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით პროგრამაზე სტუდენტების მიღების დინამიკა წლების მიხედვით ასე გამოიყურება: 2012-2013 სასწავლო წლებში გამოცხადებული იყო 7 ადგილი მიიღეს 15 სტუდენტი, 2013-2014 წლებში გამოცხადებული იყო 20 ადგილი მიიღეს 17 სტუდენტი, 2014-2015 სასწავლო წელს გამოცხადებული იყო 25 ადგილი მიიღეს 23 სტუდენტი, 2015-2016 სასწავლო წელს გამოცხადებული იყო 75 ადგილი მიიღეს 43 სტუდენტი, 2016-2017 სასწავლო წელს გამოცხადებული იყო 60 ადგილი მიიღეს 46 სტუდენტი, ხოლო 2017-2018 სასწავლო წელს გამოცხადებული იყო 60 ადგილი და მიიღეს 52 სტუდენტი. პროგრამის კურსდამთვერებულთა ნაწილი აგრძლებს სწავლას დოქტორანტურაში სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ნაწილი კი თავად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2 პროფესორის, 8 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 2 მოწვეული ლექტორის ჩართულობით. აქედან 2 აფილირებული პროფესორია, ხოლო 5 აფილირებული ასოცირებული პროფესორი. ამჟამად, საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხება 74 აქტიური სტუდენტი, ხოლო 63 აქვს შეჩერებული სტატუსი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 22 მაისს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში, შედგა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა და სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ვიზიტის პროცესში გადამოწმდა სასაწავლო ელექტრონული პორტალი ფუნციონალური სერვისების მიხედვით. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც ადექვატურად იქნა აღქმული უნივერსიტეტისა და უშუალოდ პროგრამის ადმინისტრაციის მიერ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 1.2 და 1.3 კომპონენტები ნაწილობრივ შესაბამისობასია მოთხოვნებთან, ხოლო 1.1 და 1.4 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 1.5 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 2.3 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობასია მოთხოვნებთან, ხოლო 2.1, 2.2 და 2.5 კომპონენტები შესაბამისობასია მოთხოვნებთან. მესამე და მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეოთხე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 4.4 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 4.1, 4.2, 4.3 და 4.5 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამა მიუხედავად არსებული რეკომენდაციებისა არის მუშა მდგომარეობაში (პროგრამაზე სტუდენტების მიღების დინამიკა მზარდია), ყავს სტუდენტები (74 სტუდენტი), კურსდამთავრებულები, პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსებით, მოქმედებს პროგრამის ადმინისტრირების მექანიზმები, პროგრამაზე მიღება ხდება სტაბილურად ყოველწლიურად.

- **რეკომენდაციები**

1. პროგრამის მიზნების მიღწევადობის ხარისხის გაზრდისათვის რეკომენდებულია სტანდარტის 1.2 და 1.3 კომპონენტებში შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება;
2. რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,კორპორაციის ფინანსური მენეჯმენტი“ განხორციელდეს შესასწავლი თემატიკის დაკონკრეტება ცალკეული საკითხების დონეზე, რათა ნათლად გამოიკვეთოს დისციპლინის შესწავლის შედეგების კავშირი შესასწავლ საკითხებთან;
3. რეკომენდებულია ,,მართვის თეორიის“ სასწავლო კურსის (მასში განხილული საკითხების შინაარსიდან გამომდინარე), ნაცვლად პროგრამის სავალდებულო დისცილინების მოდულში შეთავაზებული იქნეს სხვა პროგრამისთვის უფრო მნიშვნელოვანი დისციპლინა;
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე თეორიები“ მისი სახელწოდებიდან გამომდინარე გაძლიერდეს ისეთი საკითხების შესწავლით,

როგორიცაა: უპსალას ინტერნაციონალიზაციის თეორია; ბიზნეს ქსელების მოდელი; საგარეო ბაზრების არჩევის მოდელი; ტრანსაქციური დანახარჯების თეორია; დაბადებული გლობალისტად და ა.შ.

5. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მეტი ყურადღება დაეთმოს ნაშრომში კვლევის მეთოდოლოგიის, კვლევის დიზაინის და მისი რელევანტურობის აღწერას;
6. რეკომენდებულია ,,საქმიანი კომუნიკაციები"-ს სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული ,,ვიკიპედიის" საინფორმაციო პორტალი შეიცვალოს სხვა სანდო წყაროთი;
7. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში სასწავლო კურსების სახით გათვალისწინებული იქნეს საერთაშორისო სტრატეგიული მენეჯმენტის, საერთაშორისო მარკეტინგის, საერთაშორისო ადამიანური რესურსების მენეჯმენტის, საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვის მართვისა და ექსპორტ-იმპორტის მენეჯმენტის სასწავლო კურსები;
8. რეკომენდებულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით არჩევითი დისციპლინების მოდულიდან სასწავლო კურსები: ,,კროსკულტურული მენეჯმენტი" და ,,ფასიანი ქაღალდები და საერთაშორისო ფინანსური ბაზრები" გადავიდეს პროგრამის სავალდებულო დისციპლინების მოდულში;
9. რეკომენდებულია ,,მარკეტინგული კვლევის მეთოდები"-ს ნაცვლად პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული იქნეს ,,ბიზნესის კვლევის მეთოდები";
10. რეკომენდებულია პროგრამის მიზნების შესაბამისად გაიზარდოს პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების არეალი და მეტი აქცენტები გაკეთდეს საერთაშორისო კომპანიებში დასაქმების მიმართულებაზე;
11. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომისა და პრაქტიკის წინაპირობებად ამ კომპონენტების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული ყველა ის სავალდებულო დისციპლინა, რომელიც სამაგისტრო ნაშრომისა და პრაქტიკის კომპონენტის შესრულებისას ათვისებული უნდა ქონდეს პროგრამის სტუდენტს;
12. ვინაიდან სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობას წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად, ასევე არჩევით საგნებში) დამატებულ იქნას თანამედროვე, უახლეს ტენდენციებსა და მიღწევებზე დაფუძნებული სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები (მათ შორის ვიდეო ლექციებიც), რომლებიც თავს მოუყრის საერთაშორისო ბაზარზე წარმოდგენილი ორგანიზაციებს და მათზე შემუშავებულ აქტუალურ ქეისებს.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში ,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი" და ,,საქმიანი კომუნიკაციები" გამოყენებულ სავალდებულო ლიტერატურას მიეთითოს გამოცემის წლები;
- სასურველია კიდევ უფრო გააქტიურდეს პროგრამის კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობის მექანიზმები;
- სასურველია უნივერსიტეტმა მეტად შეუწყოს ხელი პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო პროექტებში/კონფერენციებში ჩართულობას, რაც გაზრდის მათი საერთაშორისო პუბლიკაციების რაოდენობას და უფრო მეტ მნიშვნელობას შესძენს მათ აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას;
- სასურველია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის მრავალფეროვანი მექანიზმების აქტიური შეთავაზება;
- სასურველია უნივერსიტეტმა შეამციროს მოცემული პროგრამის ფარგლებში ერთ აკადემიურ პერსონალზე გაწერილი სასწავლო კურსების რაოდენობა;

- სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათ შორის კვლევითი უნარების გაუმჯობესებისათვის, დაფინანსების გაზრდა. ასევე უცხოური თანამედროვე ლიტერატურის/ქეისების/ვიდეო მასალების თარგმანებისთვის მეტი დაფინანსების გამოყოფა;
- სასურველია დაწესებულებამ გარე შეფასების მექანიზმად გარდა პროგრამული აკრედიტაცია და ავტორიზაციისა გამოიყენოს ექსპერტებისა და მსგავსი პროფილის უცხოური უსდ-ის წარმომადგენლების შეფასების მექანიზმებიც.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - უნივერსიტეტში სამეცნიერო მუშაობის წახალისებისათვის არსებობს შიდა საგრანტო სისტემა, დაწესებულია სამეცნიერო პრემია „თამარი“, რომელიც 2017 წელს ჩატარდა პირველად და მისი გამარჯვებული გახდა ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენელი, აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2012 წელს, აღნიშნული აკრედიტაციის შედეგად გაცემული რეკომენდაციების მიხედვით: პროგრამაზე მიღების წინაპირობებში დამატებულია ინგლისურ ენაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა; გაწერილია პრაქტიკის გავლის პირობები; საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია; სილაბუსებში ლიტერატურა ნაწილობრივ შევსებულია უცხოენოვანი თანამედროვე ლიტერატურით, ეტაპობრივად ფართოვდება სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის არეალი; პროგრამას გააჩნია დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა შექმნას თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო გარემო ინოვაციური მეთოდების დანერგვით, ინტერკულტურული განათლებითა და მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო ცხოვრებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, დემოკრატიული ღირებულებების მქონე თაობის აღზრდას, ხოლო სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებს მისცეს სიღრმისეული ცოდნა: გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესახებ; საერთაშორისო კომპანიების სარესურსო პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების მიმართულებით; საერთაშორისო ბიზნესის შიდა და გარე გარემოს ელემენტების ეფექტიანი გამოყენების სფეროში; საერთაშორისო ბიზნეს–რისკების შეფასების, სწორი მენეჯერული გადაწყვეტილების მიღებისა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების სფეროში. პროგრამაში ინტეგრირებული სასწავლო კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგების მეტწილად მიღწევას. პროგრამის შემუშავებამდე უნივერსიტეტმა ჩაატარა დასაქმების ბაზრის კვლევა, რომელმაც დაადასტურა მოთხოვნა მენეჯმენტის დარგის სპეციალისტებზე. გამომდინარე აქედან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე, ამასთან მიგვაჩნია, რომ თუ მოხდება სტანდარტის 1.2 და 1.3 კომპონენტებში შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება, შესაძლებელი გახდება პროგრამის მიზნების მაღალ დონეზე მიღწევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ უნივერსიტეტის მისია; ▪ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ http://www.ciu.edu.ge/menu/mission - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები: ▪ პროგრამის მიზნების მიღწევადობის ხარისხის გაზრდისათვის რეკომენდებულია სტანდარტის 1.2 და 1.3 კომპონენტებში შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კომპონენტები წარმოდგენილია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსების სახით, რომლებშიც გაწერილია ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსი და მათი სწავლების მეთოდები. სამაგისტრო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია გულისხმობს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უნდა უზრუნველყოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების მიღწევა და კვლევის უნარის ჩამოყალიბება. დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელების საფუძველზე პროგრამა შესაძლებლობას იძლევა კურსდამთავრებულებმა შეიძინონ დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები. ცალკეული სასწავლო კურსის მიზანი და შედეგები გამომდინარეობს პროგრამის საკვალიფიკაციო ჩარჩოდან. თუმცა ზოგიერთი სასწავლო კურსის მიმართ გაგვაჩნია, კონკრეტული შენიშვნები, კერძოდ: ▪ სასწავლო კურსი ,,მართვის თეორია“ განხილული საკითხების შინაარსიდან გამომდინარე არ წარმოადგენს აუცილებელ კომპონენტს პროგრამის მიზნების მისაღწევად, ვინაიდან პროგრამაზე მისაღებად მოთხოვნილი საკითხების ცოდნა ფაქტობრივად ფარავს აღნიშნულ დისციპლინაში შესასწავლი საკითხების მნიშვნელოვან სპექტრს, გარდა ამისა სილაბუსში განხილული საკითხები ნაკლებად შეესაბამება სამაგისტრო სწავლების საფეხურს. გამომდინარე აქედან რეკომენდებულია აღნიშნული დისციპლინის ნაცვლად სხვა პროგრამისთვის უფრო მნიშვნელოვანი დისციპლინის შეთავაზება; ▪ სასწავლო კურსში ,,კორპორაციის ფინანსური მენეჯმენტი“ რეკომენდებულია განხორციელდეს შესასწავლი თემატიკის ჩაშლა ცალკეული საკითხების დონეზე, რათა ნათლად გამოიკვეთოს დისციპლინის სწავლის შედეგების კავშირი შესასწავლ საკითხებთან; ▪ სასწავლო კურსში ,,საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე თეორიები“ მისი სახელწოდებიდან გამომდინარე უმჯობესია გაძლიერდეს ისეთი საკითხების შესწავლით, როგორიცაა: უპსალას ინტერნაციონალიზაციის თეორია; ბიზნეს ქსელების მოდელი; საგარეო ბაზრების არჩევის მოდელი; ტრანსაქციური დანახარჯების თეორია; დაბადებული გლობალისტად და ა.შ. ▪ სასწავლო კურსების სილაბუსებში ,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი“ სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული სალექციო კურსი, რომელსაც არ ახლავს გამოცემის წელი, ხოლო ,,საქმიანი კომუნიკაციები“-ს სასწავლო კურსის სილაბუსში გამოყენებულ სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურას არ აქვს მითითებული ასევე გამოცემის წლები და სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია ,,ვიკიპედიის“ საინფორმაციო პორტალი რაც არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად მისი სანდოობიდან გამომდინარე;

- სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტი გაწერილია მაგისტრატურის დებულებაში, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების შესახებ. ადგილზე იქნა წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები, რომელთა შემოწმებისას გამოიკვეთა, რომ ნაშრომებში გამოყენებული იყო კონკრეტული კვლევის მეთოდები (მაგ. ანაკეტა-კითხვარის მეთოდი) და კვლევის შედეგები დამუშავებული იყო შესაბამისი ტექნოლოგების გამოყენებით (მაგ. გამოყენებულია ექსელი), თუმცა ნაშრომის სტრუქტურაში ნაკლები ყურადღება ეთმობოდა კვლევის მეთოდოლოგიის, კვლევის დიზაინისა და მისი რელევანტურობის აღწერას. შესაბამისად, საჭიროა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მეტი ყურადღება დაეთმოს ნაშრომში კვლევის მეთოდოლოგიის, კვლევის დიზაინის და მისი რელევანტურობის აღწერას;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- http://www.ciu.edu.ge/- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,კორპორაციის ფინანსური მენეჯმენტი“ განხორციელდეს შესასწავლი თემატიკის დაკონკრეტება ცალკეული საკითხების დონეზე, რათა ნათლად გამოიკვეთოს დისციპლინის შესწავლის შედეგების კავშირი შესასწავლ საკითხებთან;
- რეკომენდებულია ,,მართვის თეორიის“ სასწავლო კურსის (მასში განხილული საკითხების შინაარსიდან გამომდინარე), ნაცვლად პროგრამის სავალდებულო დისცილინების მოდულში შეთავაზებული იქნეს სხვა პროგრამისთვის უფრო მნიშვნელოვანი დისციპლინა;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე თეორიები“ მისი სახელწოდებიდან გამომდინარე გაძლიერდეს ისეთი საკითხების შესწავლით, როგორიცაა: უპსალას ინტერნაციონალიზაციის თეორია; ბიზნეს ქსელების მოდელი; საგარეო ბაზრების არჩევის მოდელი; ტრანსაქციური დანახარჯების თეორია; დაბადებული გლობალისტად და ა.შ.
- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მეტი ყურადღება დაეთმოს ნაშრომში კვლევის მეთოდოლოგიის, კვლევის დიზაინის და მისი რელევანტურობის აღწერას;
- რეკომენდებულია ,,საქმიანი კომუნიკაციები“-ს სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული ,,ვიკიპედიის“ საინფორმაციო პორტალი შეიცვალოს სხვა სანდო წყაროთი;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში ,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი“ და ,,საქმიანი კომუნიკაციები“ გამოყენებულ სავალდებულო ლიტერატურას მიეთითოს გამოცემის წლები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებულია და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება: თეორიული, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტებისაგან, რომლებიც წარმოდეგნილია სავალდებულო (105 კრედიტი) და თავისუფალი კომპონენტების (15 კრედიტი) სახით. პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია პრაქტიკა 15 კრედიტის მოცულობით და სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტის მოცულობით. სავალდებულო და თავისუფალი სასწავლო კურსები სტუდენტს საშუალებას აძლევს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, კერძოდ კი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სპეციალიზაციით მიიღოს ცოდნა. თუმცა, პროგრამის სტრუქტურული კომპონენტების მიმართ გაგვაჩნია გარკვეული მოსაზრებები, კერძოდ, ▪ მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სტრატეგიული მენეჯმენტის, საერთაშორისო მარკეტინგის, საერთაშორისო ადამიანური რესურსების მენეჯმენტის, საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვის მართვისა და ექსპორტ-იმპორტის მენეჯმენტის ცალკეული საკითხები წარმოდგენილია სხვადასხვა სასწავლო კურსების სილაბუსებში, მიგვაჩნია, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე რეკომენდებულია აღნიშნული სასწავლო კურსების დამატება პროგრამის სტრუქტურაში; ▪ რეკომენდებულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით არჩევითი დისციპლინების მოდულიდან სასწავლო კურსები: ,,კროსკულტურული მენეჯმენტი“ და ,,ფასიანი ქაღალდები და საერთაშორისო ფინანსური ბაზრები“ გადავიდეს პროგრამის სავალდებულო დისციპლინების მოდულში; ▪ პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო კომპონენტის სახით გათვალისწინებულია სასწავლო კურსი ,,მარკეტინგული კვლევის მეთოდები“, რაც კარგი ფაქტია, თუმცა ცხადია რომ პროგრამის სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობისას უწევთ არა მხოლოდ მარკეტინგული კვლევების, არამედ სხვადასხვა მიმართულებით კვლევების ჩატარება, შესაბამისად

მიზანშეწონილია ,,მარკეტინგული კვლევის მეთოდები“-ს ნაცვლად პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული იქნეს ,,ბიზნესის კვლევის მეთოდები“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ http://www.ciu.edu.ge - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში სასწავლო კურსების სახით გათვალისწინებული იქნეს საერთაშორისო სტრატეგიული მენეჯმენტის, საერთაშორისო მარკეტინგის, საერთაშორისო ადამიანური რესურსების მენეჯმენტის, საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვის მართვისა და ექსპორტ-იმპორტის მენეჯმენტის სასწავლო კურსები; ▪ რეკომენდებულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით არჩევითი დისციპლინების მოდულიდან სასწავლო კურსები: ,,კროსკულტურული მენეჯმენტი“ და ,,ფასიანი ქაღალდები და საერთაშორისო ფინანსური ბაზრები“ გადავიდეს პროგრამის სავალდებულო დისციპლინების მოდულში; ▪ რეკომენდებულია ,,მარკეტინგული კვლევის მეთოდები“-ს ნაცვლად პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული იქნეს ,,ბიზნესის კვლევის მეთოდები“;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ათვისება ხელს უწყობს კურსდამთავრებულს რეალურ პრაქტიკაში წარმატებით განახორციელოს მმართველობითი, ორგანიზაციული, ეკონომიკური, საწარმოო, საფინანსო, მარკეტინგული, საინფორმაციო, კონსალტინგური, ინოვაციური და სხვა სახის ადმინისტრაციულ-მარეგულირებელი საქმიანობა. დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელების საფუძველზე პროგრამა შესაძლებლობას იძლევა კურსდამთავრებულებმა შეიძინონ დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები და წარმატებით დასაქმდნენ ბიზნეს-ორგანიზაციებში, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორში. პროგრამის კურსდამთავრებულების ნახევარზე მეტი დასაქმებულია კომპანიებში, გარკვეული ნაწილი კი სწავლას აგრძელებს განათლების შემდგომ საფეხურზე როგორც ადგილზე, ისე სხვა უმაღლეს საგანმანთლებლი დაწესებულებაში და ზოგიერთი მათგანი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობასაც. თუმცა, პროგრამის კურსდამთავრებულები ძირითადად ოპერირებენ ქართულ კომპანიებში და არა საერთაშორისო ბიზნეს-ორგანიზაციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუები პროგრამის კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- კურსდამთავრებულთა კვლევა;
- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- http://www.ciu.edu.ge- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის მიზნების შესაბამისად გაიზარდოს პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების არეალი და მეტი აქცენტები გაკეთდეს საერთაშორისო კომპანიებში დასაქმების მიმართულებაზე;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში შემუშავებულია და ფუნქციონირებს პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმი, კერძოდ უნივერსიტეტი სტუდენტებს ყოველი სემესტრის ბოლოს აძლევს საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების საშუალებას როგორც პროგრამასთან ასევე პროგრამაში ჩართულ პროფესორ–მასწავლებლებთან დაკავშირებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების შემუშავებაში. კრედიტებით გაანგარიშებისას გათვალისწინებულია კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკა, შინაარსობრივი მოცულობა და მის შესასწავლად საჭირო რეალური დრო. თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფილია შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა. კურსდამთავრებულებისთვის, შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ხდება კურსდამთავრებულთა აზრის შესწავლა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად უზრუნველყო პროგრამით დაგეგმილმა სწავლის შედეგებმა და მიღებულმა უნარ-ჩვევებმა მათი დასაქმება. დამსაქმებელთა ჩართულობა ხორციელდება, როგორც ორმხრივი თანამშრომლობის პირობებში, ასევე პრაქტიკის ორგანიზებით: ამ პროცესში დამსაქმებლების მხრიდან უნივერსიტეტი იღებს რეკომენდაციებს და წინადადებებს სტუდენტთა ცოდნისა და უნარების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. თუმცა, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ ისინი უფრო მეტად არიან ჩართულები პროგრამის განვითარების პროცესში, ვიდრე შემუშავების პროცესში და უნივერსიტეტს აქტიურად სთავაზობენ პრაქტიკისა და სტაჟირების ობიექტებს. შესაბამისად, მიზაშეწონილია კიდევ უფრო გააქტიურდეს პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობის მექანიზმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის კურსდამთავრებულებთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის პოტენციურ დამსაქმებლებთან; ▪ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია კიდევ უფრო გააქტიურდეს პროგრამის კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობის მექანიზმები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			√	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია სამაგისტრო გამოცდის შედეგები, რომელიც მოიცავს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ საერთო სამაგისტრო გამოცდას და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ შიდა გამოცდას/გამოცდებს. საუნივერსიტეტო გამოცდის/გამოცდების საკითხები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოცდის ჩატარებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ამასთან, ინგლისური ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნის სერთიფიკატის წარდგენისაგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საბაკალავრო პროგრამა გავლილი და დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია გულისხმობს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფენ მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების მიღწევას და კვლევის უნარის ჩამოყალიბებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრაქტიკული მეთოდები, დისკუსია-დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), თანამშრომლობითი სწავლება (cooperative), შემთხვევის ანალიზი (Case study), როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვადასხვა მე-თოდების კომბინირება (მაგ.,ლექციებზე (მოსმენა და ჩანაწერი). სწავლებისას გამოყენებული მეთოდების სწორი შერჩევა და მათი კომბინირება მიმართულია სწავლების აქტივიზებაზე, მაგისტრანტთა შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებაზე, შემეცნებითი და კვლევითი საქმიანობის სტიმულირებაზე, სასწავლო პროცესში მაგისტრანტთა აქტიურ მონაწილეობაზე, რაც უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის შედეგების - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კომპეტენციების მიღწევას. სხვადასხვა მეთოდების გამოყენებისა და მათი კომბინირების შედეგად სასწავლო პროცესი უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო, ხოლო სტუდენტების მონაწილეობა - უფრო აქტიური ხდება. მეთოდების კომბინირება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა ჩართულობას, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. სტუდენტი ლოგიკური თანმიმდევრობით ეუფლება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს. სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლება I-III სემესტრებში ხდება. პრაქტიკა გათვალისწინებულია III სემესტრში ხოლო სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა გათვალისწინებულია IV სემესტრში. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო ნაშრომსა და პრაქტიკას წინაპირობებად აქვს განსაზღვრული პროგრამის სავალდებულო დისციპლინების მოდულიდან წამყვანი პროფილური კურსები (მაგ. სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობაა - საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი, აკადემიური წერა, მარკეტინგული კვლევის მეთოდები, ხოლო პრაქტიკის წინაპირობაა - ინვესტიციების რეგულირება და მართვა, საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი, კორპორაციის ფინანსური მენეჯმენტი) მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღნიშნული კომპონენტების მიზნებიდან გამომდინარე მათ წინაპირობად განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული ყველა ის სავალდებულო დისციპლინა, რომელიც სამაგისტრო ნაშრომისა და პრაქტიკის კომპონენტის შესრულებისას ათვისებული უნდა ქონდეს პროგრამის სტუდენტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუები პროგრამის კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომისა და პრაქტიკის წინაპირობებად ამ კომპონენტების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული ყველა ის სავალდებულო დისციპლინა, რომელიც სამაგისტრო ნაშრომისა და პრაქტიკის კომპონენტის შესრულებისას ათვისებული უნდა ქონდეს პროგრამის სტუდენტს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს: მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; შუა სემესტრულ შეფასებას და საბოლოო შეფასებას. სტუდენტების ცოდნის შეფასებისთვის გამოიყენება როგორც ზეპირი ასევე წერითი (ტესტი, ქეისების განხილვა და ანალიზი, ღია კითხვები, ესსე, და ა.შ) გამოკითხვა. ცალკეული სასწავლო კურსები შეიძლება ითვალისწინებდეს საშინაო დავალების ან ბიზნეს–პროექტების მომზადებას და მის პრეზენტაციას. შეფასების წესი, ფორმები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ▪ ინტერიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან;

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები გაწერილია პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში. სტუდენტის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ, რაც მას აძლევს საკუთარი ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების გააზრების შესაძლებლობას. პროგრამაში და სილაბუსებში წარმოდგენილია ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმებიც. აღნიშნული დოკუმენტები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და განთავსებულია სილაბუსებში. სტუდენტებს საშუალება აქვთ ინფორმაცია ცოდნის შეფასების ფორმების, მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ მიიღონ როგორც სასწავლო კურსის სილაბუსებიდან და საგანმანათლებლო პროგრამიდან, რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში „გონი“. ლექტორები ახდენენ სწავლის მიღწეული შედეგების განხილვას სტუდენტებთან და მუშაობენ არსებული ნაკლოვანებების გაუმჯობესების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან;
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

▪ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ http://www.ciu.edu.ge/- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, ელექტრონული პორტალი ,,გონი“;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტი იღებს ინფორმაციას, კონსლუტაციასა და დახმარებას როგორც აკადემიური პერსონალისგან ისე ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან. სტუდენტებს საკუთარი პროფილის მართვა და ინფორმაციის მიღება შეუძლიათ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „გონის“ მეშვეობით. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია: ფაკულტეტი, სასწავლო პროცესის მართვისა

და საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტები თითოეულ სტუდენტს ეხმარება სასწავლო პროცესში აღმოჩენილი ადმინისტრაციული პრობლემების მოგვარებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ http://www.ciu.edu.ge/- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, ელექტრონული პორტალი ,,გონი“;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაიარონ კონსულტაციები აკადემიურ პერსონალთან. ამისთვის მათ გამოყოფილი აქვთ შესაბამისი საათები, რომლებიც მითითებულია სილაბუსში. სემესტრის დასაწყისში პროფესორი ადგენს საკონსულტაციო საათების განრიგს, რომლის მიხედვითაც სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ კონსულტაცია მიიღონ პროფესორებისაგან სასწავლო კურსთან და ზოგადად, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. პროფესორ-მასწავლებლები კონსულტაციებს ატარებენ მთელი სემესტრის განმავლობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ▪ კონსულტაციების გრაფიკი; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ▪ ინტერიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ http://www.ciu.edu.ge/- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, ელექტრონული პორტალი ,,გონი“;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების დამატებით აქტივობებში ჩართვას. უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება კონფერენციები, რომელში მონაწილეობის მსურველი სტუდენტების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. გარდა ამისა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ აკადემიური პერსონალის მიერ წარმოებულ კვლევებში (მაგალითად უნივერსიტეტის პროფესორ კ. ჯაყელს კვლევითი ცენტრის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებში ჩართული ყავს სტუდენტები, მათ შორის ამ პროგრამიდანაც). უნივერსიტეტეში ფუნქციონირებს მარკეტინგული კვლევის ცენტრი, სადაც სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები და მონაწილეობენ კონკრეტული კვლევების განხორციელებაში. უნივერსიტეტში აქტიურია კურუკულუმისაგან დამოუკიდებელი ღონისძიებების განხორციელების სისტემა. სტუდენტური თვითმმართველობა უნივერსიტეტის მხარდაჭერით ანხორციელებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს, უნივერსიტეტს ჰყავს კალათბურთის პროფესიონალური გუნდი, ტარდება ტურნირი ფეხბურთში, ეწყობა ექსკურსიები, იწვევენ სხვადასხვა პრაქტიკოს სპეციალისტებს ღია ლექციების ჩასატარებლად და ა.შ. ბოლო სამი წელია, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს მიერ, სტუდენტური დღეების ფარგლებში დასახელებულია როგორც

ყველაზე ორგანიზებული უმაღლესი სასწავლებელი. უნივერსიტეტი გამოსცემს სტუდენტურ ჟურნალს და აქვს საკუთარი გაზეთი, მუდმივად ბეჭდავს პროფესორ–მასწავლებელთა შრომებსა და სახელმძღვანელოებს, ხელს უწყობს რა მათ ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- სტუდენტური კონფერენციის მასალები;
- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- http://www.ciu.edu.ge/- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში. უნივერსიტეტი, ასევე, ხელს უწყობს აკადემიური პერსონალს ჩაერთონ სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში, სამეცნიერო კვლევებში და ა.შ. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში, ფორუმებში; მათ მიერ რეგულარულად ქვეყნდება სამეცნიერო ნაშრომები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში. უნივერსიტეტს საზღვარგარეთის 40–ზე მეტ უმაღლეს სასწავლებელთან აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, ესენია: პოლონეთის, სლოვაკეთის, ესპანეთის,

ბულგარეთის, რუმინეთის, კვიპროსის, უკრაინის და ა.შ. უნივერსიტეტები. ხშირ შემთხვევაში უნივერსიტეტი თავად იღებს პასუხისმგებლობას როგორც პროფესორთა, ასევე სტუდენტთა დაფინანსებაზე. პროგრამის სტუდენტები და ლექტორები აქტიურად არიან ჩართულები ერასმუსის პროექტში, ახდენენ მობილობებს სხვადასხვა უნივერსიტეტებში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერის განვითარების ცენტრი, რომელიც მუდმივად ზრუნავს კურსდამთავრებულთა დასაქმების პრობლემაზე, რისთვისაც უნივერსიტეტში ხშირად ეწყობა დასაქმების ფორუმები, სხვადასხვა ცნობილი, სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებისა და კომპანიების მონაწილეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან;
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა უნივერსიტეტებთან;
- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- http://www.ciu.edu.ge/- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან	√			

ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ხორციელდება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ძირითად კორპუსში, სადაც დაკავებული აქვს ერთი სრული სართული. ამ სართულზე განთავსებულია სასწავლო აუდიტორიები, ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური პერსონალის ოთახები, საპროფესორო და ახალი საჯარო ლექციებისა და საკონფერენციო დარბაზი. ამ ეტაპზე მზადდება ახალი სამუშაო ოთახი, რომელიც გამოყენებული იქნება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ სტუდენტებისათვის კონსულტაციების ჩასატარებლად. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხდება უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტების აუდიტორიების გამოყენებაც. პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია 3 კომპიუტერული ლაბორატორია. კომპიუტერული კლასების კომპიუტერებში ჩატვირთულია ვინდოუსის საოფისე პროგრამები და ასევე SPSS 20 ვერსია რაოდენობრივი მასალების დასამუშავებლად და სტატისტიკული ანალიზის ჩასატარებლად. სასწავლო აუდიტორიები უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით, კერძოდ მერხებით, კომპიუტერით, პროექტორითა და დაფებით. უნივერსიტეტს გააჩნია ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი და ჯგუფური სამუშაობისათვის განკუთვნილი სამუშაო ოთახი, რომლის გამოყენებაც ხდება წინასწარი დაჯავშნის საფუძველზე. პროგრამაში გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება სხვადასხვა ორგანიზაციაში, რომელთანაც თანამშრომლობა რეგულირდება უნივერსიტეტსა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გააჩნია აღნიშნული პროგრამის კურიკულუმში გაწერილი სავალდებულო და არჩევითი საგნების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა. სახელმძღვანელოების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგის საშუალებით. სტუდენტებისთვის ასევე ხელმისაწვდომია წიგნების ელექტრონული ვერსიები, ქსეროასლები და კომპაქტდისკები. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი, გაწევრიანებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში. კსუ ასევე დარეგისტრირებულია ასოციაცია "ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის" – eIFL", რაც უზრუნველყოფს წვდომას მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებზე, კერძოდ, EBSCO Publishing, Academic Search Elit, Business Source Elite, Master FILE ELITE, Library Information Science & Technology Abstracts (LISTA), ERIC (the Education Resource Information Center), Regional Business News, Cambridge University Press, Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books, SAGE Premier.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერებით; ▪ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ელექტრონული ბაზების ადგილზე გადამოწმება;

▪ http://www.ciu.edu.ge/- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2 პროფესორის, 8 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 2 მოწვეული ლექტორის ჩართულობით. აქედან 2 აფილირებული პროფესორია, ხოლო 5 აფილირებული ასოცირებული პროფესორი. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასება ხდება სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ ჩატარებული გამოკითხვებისა და ასევე უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერიოდული მონიტორინგის მეშვეობით, რაც გულისხმობს ლექციებზე რეგულარულ დასწრებას და კურსის ფარგლებში სტუდენტთა შეფასებების შკალების ანალიზს. პროგრამაში ჩართულ პროფესორებს აქვთ აკადემიური ხარისხი, პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება და სამეცნიერო-პედაგოგიური სტაჟი შესაბამის სფეროში (მენეჯმენტი, ფინანსები, ეკონომიკა). ამასთან, პროგრამაში წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის გარკვეული ნაწილი აკადემიურ საქმიანობას პარალელურ რეჟიმში ეწევა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც, შესაბამისად სასურველია გრძელვადიან პერიოდში უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გაზარდოს მხოლოდ მასთან აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაბამისი კომპეტენციები დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით. თუმცა, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პუბლიკაციების

უმრავლესობა წარმოდგენილია ადგილობრივ ჟურნალებსა და საკონფერენციო კრებულებში. ამჟამად, საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხება 74 აქტიური სტუდენტი, ხოლო 63 აქვს შეჩერებული სტატუსი. ამასთან, პროგრამის სტრუქტურაში პროგრამის განმახორციელებ აკადემიურ ერთ პროფესორზე გაწერილია 5 სასწავლო კურსი, საიდანაც მხოლოდ 1 სასწავლო კურსია სავალდებულო, თუმცა სასურველია უნივერსიტეტმა შეამციროს მოცემული პროგრამის ფარგლებში ერთ აკადემიურ პერსონალზე გაწერილი სასწავლო კურსების რაოდენობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ▪ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან; ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ▪ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია უნივერსიტეტმა მეტად შეუწყოს ხელი პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო პროექტებში/კონფერენციებში ჩართულობას, რაც გაზრდის მათი საერთაშორისო პუბლიკაციების რაოდენობას და უფრო მეტ მნიშვნელობას შესძენს მათ აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას; ▪ სასურველია უნივერსიტეტმა შეამციროს მოცემული პროგრამის ფარგლებში ერთ აკადემიურ პერსონალზე გაწერილი სასწავლო კურსების რაოდენობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ▪ უნივერსიტეტში სამეცნიერო მუშაობის წახალისებისათვის არსებობს შიდა საგრანტო სისტემა, დაწესებულია სამეცნიერო პრემია „თამარი“, რომელიც 2017 წელს ჩატარდა პირველად და მისი გამარჯვებული გახდა ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენელი, აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სათანადო კომპეტენციის ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი და მართვის სხვა სამსახურების წარმომადგენლები (დეკანი, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი, ტუტორი), რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვას, მართვასა, შეფასებასა და განვითარებას. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილია მათი ჩართვა კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადებისა და ა. შ. კურსებზე, ტრენინგებსა და სემინარებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის მრავალფეროვანი მექანიზმების აქტიური შეთავაზება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სილაბუსებში მოცემული სასწავლო მასალა ძირითადად ეფუძნება აპრობირებულ თანამედროვე ქართულენოვან სახელმძღვანელოებს, თუმცა საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სალექციო კურსებისთვის (ინდუსტრიული მარკეტინგი, კორპორაციის ფინანსური მენეჯმენტი, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე თეორიები, საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი, კროსკულტურული მენეჯმენტი, საინვესტიციო პროექტების მართვა) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უახლესი უცხოენოვანი ლიტერატურის აქტიურად გამოყენება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობას წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, შესაბამისად პროგრამის სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად, ასევე არჩევით საგნებში) თანამედროვე, უახლეს ტენდენციებსა და მიღწევებზე დაფუძნებული სახელმძღვანელოების და სასწავლო მასალების (მათ შორის ვიდეო ლექციებიც) დამატება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თავი მოუყაროს საერთაშორისო ბაზარზე წარმოდგენილი ორგანიზაციებს და მათზე შემუშავებულ აქტუალურ ქეისებს, რაც პროგრამის სტუდენტებს მისცემს საშუალებას ოპერატიულად გაეცნონ ბიზნესის სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მრავლადაა ელექტრონული სასწავლო მასალები და ლიტერატურა ელექტრონულ მატარებლებზე. უნივერსიტეტში სისტემატურად ტარდება სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურისა და სასწავლო მასალების შესახებ; გამოკითხვის ძირითადი მიზანია სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების საკითხის შესწავლა ბიბლიოთეკაში სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურისა და სასწავლო მასალების რაოდენობასთან და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- საერთაშირისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

- ვინაიდან სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობას წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად, ასევე არჩევით საგნებში) დამატებულ იქნას თანამედროვე, უახლეს ტენდენციებსა და მიღწევებზე დაფუძნებული სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები (მათ შორის ვიდეო ლექციებიც), რომლებიც თავს მოუყრის საერთაშორისო ბაზარზე წარმოდგენილი ორგანიზაციებს და მათზე შემუშავებულ აქტუალურ ქეისებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღნიშნული პროგრამის სრულფასოვნად განსახორციელებლად უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს ბიუჯეტი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესაძენად/განსაახლებლად (ახალი ინვენტარი, სახელმძღვანელოები, კომპიტერული პროგრამები), სტუდენტური ინიციატივების დასაფინანსებლად (სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების დასაორგანიზებლად, აკადემიური პერსონალის სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომების (პუბლიკაციების, სახელმძღვანელოების) საგამომცემლო-სასტამბო ხარჯების დასაფარად, აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დასაფინანსებლად, კვლევითი პროექტების მცირედი საგრანტო პროგრამების განსახორციელებლად და საზღვარგარეთ სტაჟირების გასავლელად საჭირო ხარჯების დასაფარად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტი; ▪ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და ფაკულტეტის დეკანთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათ შორის კვლევითი უნარების გაუმჯობესებისათვის, დაფინანსების გაზრდა. ასევე უცხოური თანამედროვე ლიტერატურის/ქეისების/ვიდეო მასალების თარგმანებისთვის მეტი დაფინანსების გამოყოფა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კსუ-ში მოქმედებს, საჯაროდ ხელმისაწვდომია და გაზიარებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების მიერ ხარისხის უზრუნველყიფის სისტემა, რომელიც ეფუძვნება „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს. პროგრამის საწყის-შემუშავების- ეტაპზე გათვალისწინებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, უნივერსიტეტის მისიის, ხედვისა და პრიორიტეტების შესაბამისობა პროგრამასთან, დასაქმების ბაზრის კვლევის შედეგები (რაც ადგენს მოთხოვნადი პროფესიების საჭიროებას და კვალიფიციური კადრების/კურსდამთავრებულების მომზადებას აღნიშნულ სფეროში). აკადემიური პერსონალის, მათ შორის მოწვეული ლექტორების, უშუალო ჩართულობით მოხდა პროგრამის დიზაინის, მიზნობრიობისა და სწავლის შედეგების დადგენა. თუმცა დამსაქმებლების ჩართულობა ლიმიტირებული იყო პრაქტიკის კომპონენტის განხილვა/დახვეწის ასპექტით. სასწავლო კურსებისთვის მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობის განსასაზღვრად გათვალისწინებულ იქნა სტუდენტებისთვის საჭირო დატვირთვა (მასალის დასაძლევად/ასათვისებლად საჭირო საკონტაქტო, ჯგუფური თუ დამოუკიდებელი საათები). უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყიფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე მოხდა აღნიშნული პროგრამის დამტკიცება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე. დამტკიცებული პროგრამის შემდგომი შეფასება ხორციელდება შემდეგი აქტივობების საფუძველზე: რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების საშუალებით პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება; სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასება სპეციალური ფორმების/ შეფასების კითხვარების საშუალებით; პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვა სპეციალური

ფორმების/ შეფასების კითხვარების საშუალებით; უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის და ფაკულტეტის პასუხისმგებელი პირების მიერ სალექციო კურსების მონიტორინგი (სალექციო კურსების დროულად დაწყების შესამოწმებლად, ლექციის მსვლელობისას განხილული თემატიკის სილაბუსში გაწერილ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის დასადგენად, პროფესორთა კომპეტენციის შესაფასებლად). კვლევისა და დაკვირვების შედეგების საფუძველზე ხდება რეკომენდაციების შემუშავება და სალექციო კურსების სილაბუსებში ასახვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ აკადემიური პერსონალის, სტუდენტების გამოკითხვის მასალები; ▪ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ http://www.ciu.edu.ge/- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო პროცესში მუდმივად ხდება სწავლის ხარისხის შეფასება შემდეგი აქტივობებით: ლექციებზე დასწრება მეცადინეობის მონიტორინგისა და ხარისხის შეფასების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტისა და ფაკულტეტის პასუხისმგებელი პირების მიერ; დასწრებისას მოწმდება მეცადინეობის დროულად დაწყების საკითხი, პროფესორების კომპეტენტურობა, თემების შესაბამისობა სილაბუსით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმასთან. ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების გარე მექანიზმებს წარმოადგენს პროგრამული აკრედიტაცია და ავტორიზაცია. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2012 წელს, აღნიშნული აკრედიტაციის შედეგად გაცემული რეკომენდაციების მიხედვით: პროგრამაზე მიღების წინაპირობებში დამატებულია ინგლისურ ენაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა; გაწერილია პრაქტიკის გავლის პირობები; საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია; სილაბუსებში ლიტერატურა ნაწილობრივ შევსებულია უცხოენოვანი თანამედროვე ლიტერატურით, ეტაპობრივად ფართოვდება სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის არეალი; პროგრამას გააჩნია დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის ssამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან;
- სსიპ - "განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან" არსებული ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილები უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების შესახებ;
- სსიპ - "განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან" არსებული აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებით უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაწესებულებამ გარე შეფასების მექანიზმად გარდა პროგრამული აკრედიტაცია და ავტორიზაციისა გამოიყენოს ექსპერტებისა და მსგავსი პროფილის უცხოური უსდ-ის წარმომადგენლების შეფასების მექანიზმებიც.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 34

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			√	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

ვასილ კიკუტაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

ნინო პატარაია

მარიკა გარსევანიშვილი